

THE HORSE-TRAINING TEXT (=KIKKULI TEXT - CTH 284)

ცხენის გახედვის ტექსტი (ე.წ. „ქიქულის ტექსტი“ - CTH 284)

Maia Ghambashidze,

Iv. Javakhishvili Tbilisi State University,

Ass. Prof., Tel.: 599960904

maia.ghambashidze@tsu.ge**ORCID 0000-0002-1008-2869****მაია ღამბაშიძე,**

ივ. ჯავახიშვილის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი,

დოქტ., ასოც. პროფ., ტელ.: 599960904,

maia.ghambashidze@tsu.ge**ORCID 0000-0002-1008-2869****Abstract**

Here is presented the Georgian translation and comments of the horse training text (the so-called Kikkuli-text, CTH 284). The text is known to us from Hattusa (Boghazköy, Turkey), the capital of Hittites (app. 13th c. BC). The translation is published in Georgian for the first time.

აბსტრაქტი

მოცემულია ცხენის გახედვის ინსტრუქციის (ე.წ. ქიქულის ტექსტი, CTH 284) თარგმანი და კომენტარი. ტექსტი ცნობილია ხეთების დედაქალაქ ხათუსადან (ბოღაზქოი, თან. თურქეთი, დაახლ. ძვ. წ. მე-13 ს.). ქართული თარგმანი ქვეყნდება პირველად.

საძიებო სიტყვები:

ხეთები, ხურიტები, ცხენი, ჰიპოლოგია, ძველი ახლო აღმოსავლეთი, ხეთოლოგია, ასირიოლოგია

Keywords:

Hittites, Hurrians, Horse, Hippology, Asia Minor, Ancient Middle East, Hittitology, Assyriology

შესავალი

ჩვენამდე მოაღწია ბოლაზქოიში აღმოჩენილმა ხეთურ ენაზე შესრულებულმა რამდენიმე ჰიპოლოგიურმა ტექსტმა. ესენია:

ა. CTH 284¹ - ცხენის გაწვრთნის ინსტრუქცია (ე.წ. ქიქულის ტექსტი) (მოგვიანო პერიოდის ხეთური ასლი ძვ. წ. მე-13 ს.);

ბ. CTH 285² - ცხენის გაწვრთნის ინსტრუქცია (რიტუალთან ერთად?) (დაახლ. ძვ. წ. მე-15 ს.);

გ. CTH 286³ - ხეთური ცხენის გაწვრთნის ინსტრუქცია (დაახლ. ძვ. წ. მე-15 ს.);

დ. CTH 287⁴ - ცხენის გაწვრთნის ინსტრუქციების რამდენიმე ფრაგმენტი.⁵

ამ ტექსტთაგან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია CTH 284 (დანარჩენი ტექსტები უმეტესად ფრაგმენტულია და ეყრდნობიან ამ წყაროს), რომლის ავტორად ითვლება წარმოშობით ხურიტი მერემაეთუხუცესი⁶ *ქიქული*. არ ვიცით, ხეთის სამეფოში ცხოვრობდა იგი თუ სპეციალურად მოიწვიეს ცხენების გასახედნად მითანიდან. ასევე ვერ ვარკვევთ, რომელ ქალაქში იყო განთავსებული გასახედნი მოედანი და თავლა.⁷ ტექსტში აღწერილია, როგორ უნდა გამოეკვებათ და გაეხედნათ ცხენები 6 თვის მანძილზე, შემოდგომიდან გაზაფხულამდე.⁸ ტექსტიდან ასევე არ ჩანს, თუ რისთვის ამზადებდნენ ცხენებს, თუმცა დასაშვებია ორი ვარიანტი - ხედნიდნენ საბრძოლოდ ან საზიდრად, ან სულაც, ერთდროულად - ორივე მიზნით. მაგრამ თუ ვივარაუდებთ, რომ ტექსტის ასლი ხეთების იმპერიის არსებობის იმ პერიოდში შესრულდა, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხეთებთან სამხედრო ცხენების გახედვას (ქვეყანა ეგვიპტის წინააღმდეგ ომისთვის ემზადებოდა და სწორედ გაწვრთნილმა ცხენებმა მისცეს ხეთებს საგრძნობი უპირატესობა ბრძოლაში), შესაბამისად, სწორედ ეს მიმართულება უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მთავარი ინტერესის სფეროში.

¹ https://www.hethport.uni-wuerzburg.de/hetkonk/hetkonk_abfrage.php?c=284

² https://www.hethport.uni-wuerzburg.de/hetkonk/hetkonk_abfrage.php?c=285

³ https://www.hethport.uni-wuerzburg.de/hetkonk/hetkonk_abfrage.php?c=286

⁴ https://www.hethport.uni-wuerzburg.de/hetkonk/hetkonk_abfrage.php?c=287

⁵ დაწვრილებით ტექსტების რედაქციებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის შესახებ: Raulwing (2003, 2009).

⁶ ტერმინი *მერემაეთუხუცესი/მეჯოგეთუხუცესი* გვხვდება ქართულ ისტორიულ წყაროებში. იგი გახლდათ მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელე, სამეფო ცხენსაშენის მეურნე, ევალეზობა რემის გამრავლება, გამოკვება, მოვლა და გახედვნი: ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში (2017); დაწვრილებით ძველ ეგვიპტეში ცხენების გამხედნავის შესახებ: Litecky, T. G. D., (2021).

⁷ არქეოლოგიურად თავლის ტიპის ნაგებობები აღმოჩენილია ბეიჯესულტანში (Lloyd S.; Mellaart J., (1956), 105; Mac Sweeney, N., (2010), 19 და, სავარაუდოდ, ქუშაქლი/სარისაში: Müller-Karpe, A., (2017).

⁸ როგორც ტექსტიდან ირკვევა, ქიქული ცხენების გახედვას იწყებდა შემოდგომაზე, როდესაც მოსავალს აიღებდნენ და საქონელს და ცხენებს გამოუშვებდნენ საბალახოდ. შესაბამისად, გაზაფხულის დადგომისთვის ცხენები ფიზიკურად მზად იქნებოდნენ საბრძოლველად/საზიდრად. ასევე ძალიან საინტერესოა, რომ ქიქულის გახედვისა და კვების რეჟიმის მეთოდი ბევრ ასპექტში ემთხვევა ცხენის თანამედროვე წვრთნის პრინციპებს. 1991-1992 წლებში, დოქტორმა ა. ნილანდმა, ავსტრალიაში ექსპერიმენტის სახით გამოსცადა ქიქულის ტექსტში მითითებული გახედვის მეთოდი არაბულ ცხენებზე და ძალიან საინტერესო შედეგებს მიაღწია: Nyland, A., (1993); (2009).

ხეთური ცხენის გახედვის ტექსტი წარმოადგენს მსოფლიოში უძველეს ინსტრუქციას. იმის მიუხედავად, რომ ძველ ახლო აღმოსავლურ ტექსტებში არაერთხელ ვაწყდებით ცხენების გახედვის შესახებ ცნობებს, ინსტრუქციის ტექსტებით განებივრებულები სამწუხაროდ არ ვართ⁹. მრავალი საუკუნის შემდგომ, ძვ. წ. მე-4 საუკუნეში, ბერძენმა ფილოსოფოსმა ქსენოფონტემ დაწერა მეტად საინტერესო თხზულება - „ცხენოსნობის ხელოვნება“¹⁰. სავარაუდოდ, იგი ეყრდნობოდა საუკუნეების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას და გადმოცემებს. ჩვენთვის არანაკლებად საინტერესო ასევე ცხენის მოვლისა და გახედვის ქართული წყაროები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია: ქართული ვეტერინარული ხელნაწერები - „ცხენის კარაბადინები“, რომლებიც XVII-XIX საუკუნეებით თარიღდება¹¹. ვფიქრობთ, ამ წყაროთა საგულდაგულო შესწავლა და ძველადმოსავლურ ტექსტებთან შედარებითი ანალიზის შესრულება მნიშვნელოვან შედეგებს მოგვცემს.

ამჯერად წარმოვადგენთ ტექსტის თარგმანსა და კომენტარებს, ხოლო რაც შეეხება ცხენის გახედვის ძველადმოსავლურ-კავკასიური მეთოდების შედარებითი კვლევის მონაცემებს, მის შესახებ ვამზადებთ ნაშრომს, რომელსაც უახლოეს მომავალში წარვუდგენთ სამეცნიერო საზოგადოებას.

თარგმანი:

I ფირფიტა:

1 დღე (წინა მხარე I 1-36) - ასე ამბობს *ქიქული*, ცხენების მერემეათუხუცესი¹², მითანელი: როდესაც იგი შემოდგომით ცხენებს¹³ საბალახოდ გაუშვებს, შეკაზმავს მათ და 3 დანას¹⁴ ჩორით¹⁵ ატარებს, ხოლო 7 იქუს¹⁶ აქროლებს¹⁷, უკან კი - 10 იქუს აქროლებს. შემდეგ

⁹ არსებობს შუაასურული ტექსტის ფრაგმენტები ეტლში შესაბამელი ცხენების გახედვის შესახებ: Ebeling, E., (1951).

¹⁰ Xenophon, Hippika.

¹¹ დაწვრილებით ქართული ვეტერინარული ტექსტების შესახებ: აბულაძე, თ., სამყურაშვილი, ლ., (2022), 7-8; 79-83; 85-127; ჯვარშიშვილი კ., (1967).

¹² LU^a [š]ušani – სანსკრიტ. aśva-sana- ცხენოსანი (მეცხენე, ცხენის გამწვრთნელი, გამხედნავი). ეს ტერმინი წმინდა ინდოევროპულია, შესაბამისად, მოსაზრებები მისი ხურიტული წარმომავლობის შესახებ საეჭვოა: Kammenhuber A., (1961); Mayrhofer M., (1966); (1974); Raulwing, P., (1999).

¹³ ANŠE.KUR.RA^{HLA}, დაწვრილებით ტერმინის შესახებ: RIA (2005), 463, Starke, F., (2000; 2001). ძველ აღმოსავლეთში ცხენის ფასის შესახებ: ასტახიშვილი ე., ღამბაშიძე მ., (2020), 33; ასევე ხეთური კანონები: ღამბაშიძე მ., ასტახიშვილი ე., (2021), 357-384.

¹⁴ ხეთური სიგრძის საზომი ერთეულების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი რამ ცხადია, რომ იმის მიუხედავად, რომ ეს ტერმინები იდეოგრამების სახით, ანდაც აქადურ ენაზე გვხვდება, მათი ზომები არ ემთხვევა შუამდინარულ ზომებს (მაგ. შუმ. 1 DANNA = 10.7 კმ-ს). ყველაზე რეალური შესატყვისი ხეთურ რეალობაში სავარაუდოდ, შემდეგია: 1 DANNA = აქად. $B\bar{I}/\bar{E}RU = 1500$ მ, Melchert H. G. (1980), 50-56.

¹⁵ penna- ტერმინის შესახებ: Nyland, A., (1992). 293-296.

¹⁶ ზემოთხსენებულ საზომ ერთეულ DANNA-ს მსგავსად, იგივე შეიძლება ვთქვათ ამ ტერმინზეც, რომ იგი არ ემთხვევა მესოპოტამიურ ზომას: 1 IKU = 15 მ; 100 IKU = 1 DANNA, Melchert H. G. (1980), 50-56.

¹⁷ parh- ტერმინის შესახებ: Nyland, A., (1992). 293-296.

განკაზმავს, აჭმევს, ასმევს (და) თავლაში შეიყვანს. შემდეგ (ერთად) შერეულ 1 ხელ¹⁸ ქატოს¹⁹, 2 ხელ ქერს²⁰ და 1 ხელ თივას²¹ მისცემს (და) ისინიც შეჭამენ. როგორც კი დაასრულებენ ჭამას, მიაბამს სარზე²². რომ მოსაღამოვდება, გამოიყვანს თავლიდან²³ (და) შეკაზმავს. 1 დანას ჩორთით ატარებს, 7 იქუს კი - აქროლებს. როდესაც უკან მორეკავს, განკაზმავს, აჭმევს და ასმევს. შემდეგ შეიყვანს მათ თავლაში (და) შერეულ 3 ხელ თივას, 2 ხელ ქერს და 2 ხელ ქატოს მისცემს. როდესაც დაასრულებენ კვებას, თოფრაკს²⁴ შეაბამს. როდესაც [დაღამდება], გამოიყვანს თავლიდან, შეკაზმავს და [1 დანას ჩორთით ატარებს], 7 იქუს კი - აქროლებს. როგორც კი უკან მოიყვანს, განკაზმავს, [აჭმევს და] ასმევს. [შემდეგ] შეიყვანს თავლაში. შემდგომ, 2 ცხენზე - შერეულ 2 ხელ ქატოს, 1 ხელ ქერს, 4 ხელ თივას მისცემს. როდესაც დაასრულებენ ჭამას, მთელი ღამის მანძილზე თივას ცოხნიან.

2 დღე (წინა მხარე I 37–58) - როდესაც გათენდება, [თავლიდან] გამოიყვანს. [შეკაზმავს]. 2 დანას და ½ დანას ჩორთით ატარებს, ხოლო 7 იქუს აქროლებს, უკან კი 10 იქუს აქროლებს და 3 დანას ნაბიჯით ატარებს. [როგორც] კი იგი [მ]ათ უკან წამოიყვანს, [განკაზმ]ავს. აჭ[მევს]. შემდეგ თოფრ[აკს] შეაბამს და სარზე მიაბამს. [რ]ოგორც კი შუადღე დადგება, (ერთი ხანობა) თივას ჭამენ. როგორც კი დღე გადაიწვერება²⁵, წყალს დააღვინებს, შემდეგ ძელზე მიაბამს. როგორც კი მოსაღამოვდება, შეკაზმავს. შემდეგ 1 დანას ჩორთით ატარებს. როდესაც უკან მოვა, განკაზმავს; აჭმევს და თავლაში შეიყვანს. მთელი ღამის მანძილზე თივას უხვად ცოხნიან.

3 დღე (წინა მხარე I 59-60) - როდესაც გათენდება, გამოიყვანს თავლიდან (და) შეკაზმავს (წინა მხარე II 1-11). შემდეგ 2 დანას ჩორთით ატარებს. როდესაც[აც] უკან დაბრუნდება, [განკაზმავს. აჭმევს და] არ ასმევს. შე[იყვანს] თავლაში, ხოლო საღამოს ისევ შე[კაზმავს]. შემდეგ 1 დანას ჩორთით ატარებს. როგორც კი უკან მორეკავს, განკაზმავს. აჭმევს, მაგრამ წყალს არ დააღვინებ[ს]. შემდეგ შეიყვანს თავლაში, სადაც მთელი ღამის მანძილზე თივას ცოხნიან.

4 დღე (წინა მხარე II 12-59) - როდესაც გათენდება, გამოიყვანს თავლიდან (და) შეკაზმავს. შემდეგ 2 დანას ჩორთით ატარებს, ხოლო 80 იქუს აქროლებს. უკან კი - 1 დანასა და 20 იქუსზე ქროლოვით დაბრუნდებიან. როგორც კი მათ უკან ჩორთით მოიყვანს, განკაზმავს. ასალს²⁶ დაავარებს. შემდეგ შეიყვანს თავლაში. ხოლო თავლა მე[ტ]ად თბილია. როგორც

¹⁸ UPNI/UPNU = hazzila- handful, fistful, Handvoll, Ünal A. (2007), 761; Kammenhuber A. (1961) 329. 1 ხელი, 1 პორცია (სავარაუდოდ, იწონიდა დაახლ. 0.5 კილოს/ლიტრს, შესაბამისად, ქიქულის მიერ მოცემული საკვების რაოდენობა შეესაბამება თანამედროვე ცხენის კვების რაციონს როგორც რაოდენობრივად, ასევე დღის მანძილზე საჭმლის განაწილების კუთხითაც - სამჯერადი კვება, როდესაც დილით ცხენს აჭმევენ ცოტას, შუადღეს უფრო მეტს, ხოლო საღამოს - ყველაზე მეტს). თანამედროვე ცხენის გამოკვების შესახებ: ჭინჭარაძე ზ., (2022).

¹⁹ kanza - ტრადიციულად ითარგმნება, როგორც „ხორბალი“. სავარაუდოდ, საუბარია ქატოზე, რომელიც ცხენის თანამედროვე კვების რეჟიმშიც შედის: ჭინჭარაძე ზ., (2022).

²⁰ ŠE = halki – grain, barley, ქერი, Ünal A. (2007).

²¹ HÁD.DU.A = dry, trocken; uzuhrin HÁD.DU.A - თივა, Ünal A. (2007).

²² GIŠ/URUDU KAK = peg, pet, wedge, Pflock, Ünal A. (2007) 297.

²³ É LUŠKUSŠ - LUŠKUSŠ (LUŠ) = chariot-driver, chariot warrior, Wagenlenker, Knappe, Diener, Ünal. A. (2007), 375.

²⁴ purialla-/purialli- = muzzle, nose-bag (which horses feed from); lip-cover (placed on the lip of the deceased), Maulkorb, Lippendeckel (der ToTen), Futtersack (der Pferde), Ünal A. (2007) 554.

²⁵ [U]D^{MU} EGIR-pa 2 AM.MA.TI wahzi – “der Tag um 2 Ellen zurückwendet”, Kammenhuber A., (1961) 57.

²⁶ TÚG = wašpa-/waššapa = vestment, cloth, garment, bolt of garment, Kleid, Gewand, Stoff, Ünal A. (2007) 728.

კი ცხენები [შეწუხდე]ბიან და ოფლი [გამ]ოუვათ, აღვი[რს²⁷ მო]ხსნის, [ასალს] აიღებს. [შემდეგ] მოხსნის ლაგამს²⁸. კერაზე²⁹ ქვამარილს³⁰ დაფხვნის და ქოთანში³¹ დაღერდილ ალაოს³² გააღვივებს. შემდეგ მათ 1 თას³³ მარილწყალს (და) ერთ თას წყალს დაღერდილ ალაოს დაუდგამს. ისინი წყურვილს მოიკლავენ. წაიყვანს მდინარესთან დასაბანად, დაბანს და აცურავებს. როგორც კი მდინარიდან [უკან] მორეკავს, შეიყვანს თავლაში. შემდეგ მათ კვლავ [1 თას]ს მარილიან წყალს (და) 1 თასს ალაოიან წყალს დააღვივინებს. როგორც კი დაისვენებენ, [ის]ევ მდინარესთან მიიყვანს, დაბანს, ისევ აცურავებს. [როგორც] კი წყლიდან ამოიყვანს, 1 [ხე]ლ თივას მისცემს. [რო]გორც კი დაასრულებენ თივის [ჭამ]ას, [კვლავ] დაბანს და აცურავებს. მთელი დღის მანძილზე ისევ და ისევ დაბანს და [აცურავებს]. ...ყოველ ჯერ[ზე] მისცემს 3 თას წყალს. [როგორც] კი მოსაღამოვდება, მდინარიდან წამორეკავს (და) თავლაში. 1 სათლ დაღერდილ ხორბალს უხვად³⁴ მისცემს და ისინი მთელი ღამის მანძილზე ცოხნიან.

5 დღე (წინა მხარე II 60-64) - როდესაც გათენდება, გამოიყვანს მათ თავლიდან (და) მდინარესთან მიიყვანს საბანაოდ. 5-ჯერ დაბანს და აცურავებს. როდესაც შუადღე დადგება...

6-8 დღე (უკანა მხარე III 1-3) - შემდეგ ისინი... შემოდგომაზე. როგორც კი იგი [მათ საბალახ]ოდ გაუშვებს, 3 დღის მანძილზე მათ 3-3-ჯერ დაბანს და აცურავებს.

9-12 დღე (უკანა მხარე III 4-8) - მე-4 დღის მანძილზე კი შეაბამს მათ. დღეში ერთხელ აბანავებს და აცურავებს და ისინი ყოველდღიურად ასე ჭამენ [საკვებს] და თივას.

13 დღე (უკანა მხარე III 8-10) - მე-5 დღეს (მათ) ქონს³⁵ უსვამს უხვად. [შემდეგ] თავლაში შეჰყავს.

14-19 დღე (უკანა მხარე III 11-15) - [თავლა კ]ი შიგნიდან დასუფთავებულია. 10 დღის მანძილზე იქ იდგებიან. დგანან ბაშტეებში³⁶, ერთი მხრიდან საკვები³⁷ უდგათ, მეორე მხრიდან - დამბალი ქერი და თივას ცოხნიან დრო და დრო.

²⁷ KUŠKA.TAB.ANŠE = rein, bridle, Halfter, Zuegel, Zaum, Zaumzeug, Ünal A. (2007) 295. Gambashidze M., (2017) 33-38.

²⁸ URUDU ŠERINNATU/ŠIRINADU = snaffle (for horse), bit, Knebeltrense, Gebiss, Gespannhalter, Ünal A., (2007) 630.

²⁹ hašša = GUNNI = კერა, fireplace, hearth, stove, fire-altar, brazier, Herd, Feuerstelle, Kohlenbecken, Ünal (2007) 190.

³⁰ MUN, salt, Salz, Ünal (2007) 458.

³¹ DUG.NAM.ZI.TU = (ლუდის) დასაყენებელი ქოთან (ფერმენტაციითვის), fermenting vat, Maischbottich, Ünal (2007) 473.

³² DIM₄ = ალაო, malt, Ünal A., (2007) 88.; AL.GAZ = დაღერდილი, crushed, pound, zerquetscht, zerstoßen, Ünal A., (2007) 13.

³³ DUG.GAL = ჭურჭელი, თასი (სავარაუდოდ, დიდი ზომის), pitcher, vessel, Gefäß, Ünal A., (2007) 94.

³⁴ IN.NU.DA = straw, Stroh, Ünal A., (2007) 258.

³⁵ Ī.NUN = ქონი, რომელიც სამკურნალოდ გამოიყენებოდა, შდრ. თხის ქონი; thick milk, butter ghee, Butterschmalz, Ünal A. (2007) 250.

³⁶ A.NA taruma ištarna tianzi = „ისინი იდგებიან ხეებს შორის“, შესაბამისად, ცხენებისთვის ხის მორებით გამოყოფილ ადგილებზე.

³⁷ ŠĀ.GAL = fodder, forage, Nahrung, Viehfutter, Ünal A. (2007) 576.

- 20 დღე** (უკანა მხარე III 16-20) - მე-7 დღეს გამოჰყავს ისინი თავლიდან. თბილი წყლით დაბანს. შეჭამენ თივას, [ქო]ნს წაუსვამს და შეჰყავს თავლაში.
- 21-23 დღე** (უკანა მხარე III 21-22) - იქ დგანან 3 დღის მანძილზე. თავლა სუ[ფთ]აა შიგნიდან.
- 24 დღე** (უკანა მხარე III 23-29) - მე-4 დღეს კი ისინი თავლიდან გამოჰყავს. მთელი დღის მანძილზე იდგებიან მშვირები და მწყურვალეები. როცა მოსაღამოვდება, მათ 10 *იქუს* ასერინებს. როცა დაღამდება, მთელი ღამის მანძილზე [თივ]ას ცოხნიან.
- 25 დღე** (უკანა მხარე III 30-33) - [(მეორე) დილით] უთენია გამოიყვანს თავლიდან. [თბი]ლ წყალში აბანავებს, [საბა]ლახოდ გაუშვებს და თავიანთ საკვებს [შეჭამენ].
- 26-35 დღე** (უკანა მხარე III 34-35) - შემდეგი 10 დღის მანძილზე 2 *დანას* ნაბიჯით ივლიან.
- 36 დღე** (უკანა მხარე III 36-47) - მე-[11 დღეს კი] ცოტას ივლიან. როდესაც (ისინი) 2 *დანას* ნაბიჯით ივლი[ან], უკან გამორეკავს. სარზ[ე მიაბამ]ს, და [მთელი დღე ასე იდგებ]იან. [როდესაც შუადღე დად]გება, [მოცოხნიან თივას. როდესაც] მოსაღამოვდება, [შეკაზმავს] და 30 *იქუს* [აქროლებს. როდესაც] უკან მოიყვანს, [გან]კაზმავს, აჭმევს, მაგრამ წყალს არ დაა[ლევინ]ებს. შემდეგ თავლაში შეიყვანს. მთელი ღამის მანძილზე ცოხნიან უხვად [თი]ვას.
- 37 დღე** (უკანა მხარე III 48-55) - [შემდეგ დილას] გამოიყვანს თავლიდან. შეკაზმავს, ½ *დანას* ჩორთით ატარებს, არ აქროლებს. როგორც კი უკან დააბრუნებს, განკაზმავს, თბილ წყალში აბანავებს და საბალახოდ გაუშვებს. მისცემს შერეულ საკვებს და [1] სათლ დაღერდილ ხორბალს. როდესაც [შეჭ]ამენ, კვლავ შეკაზმავს.
- 37-46 დღე** (უკანა მხარე III 56-58) - შემდეგი 10 დღის მანძილზე 2 *დანას* ჩორთით ატარებს. ყოველ დღე უფრო (და უფრო) ცოტას ატარებს ჩორთით და ისინი მთელი (დროის მანძილზე) ჭამენ თავიანთ სამყოფ ქერს.
- 47 დღე** (უკანა მხარე III 59-71) - მე-11 დღეს კი სარზე მიაბამს და მთელი დღის მანძილზე ასე იდგებიან. საკვებს და წყალს არ მისცემს. როგორც კი შუადღე დადგება, 1 ხელ თივას მისცემს. როდესაც მოსაღამოვდება, გამოიყვანს თავლიდან, შეკაზმავს და ½ *დანას* ჩორთით ატარებს. როდესაც უკან მოიყვანს, განკაზმავს, მისცემს წყალს, [შემდეგ] თავლაში შეიყვანს, [სადაც] მთელი [ღამე] ცოხნიან თივას.
- 48 დღე** (უკანა მხარე IV 1-5) - (მეორე) დილას, უთენია გამოიყვანს თავლიდან, შეკაზმავს. შემდეგ ½ *დანას* ჩორთით ატარებს, 7 *იქუს* კი აქროლებს. როდესაც უკან დაბრუნდებიან, განკაზმავს. შემდეგ დაბანს და 3-ჯერ აცურავებს.
- 49-58 დღე** (უკანა მხარე IV 6-11) - შემდეგი 10 დღის მანძილზე 3 *დანას* ჩორთით ატარებს. ყოველ დღე ცოტას ატარებს ჩორთით, 7 *იქუს* კი - აქროლებს. როდესაც უკან დაბრუნდებიან, აჭმევს, წყალს ასმევს (და) შეიყვანს თავლაში. (იქ) შეჭამენ საკვებს და ცოხნიან თივას.
- 59 დღე** (უკანა მხარე IV 12-20) - მე-11 დღეს სარზე მიაბამს. როდესაც შუადღე დადგება, 1 ხელ [თი]ვას მოცოხნიან. როდესაც მოსაღამოვდება, შეკაზმავს. 30 *იქუსზე* ჩორთით ატარებს, ხოლო 7 *იქუსზე* კი - აქროლებს. როდესაც განკაზმავს, აჭმევს. წყალს არ დააღევინებს. თავლაში შეიყვანს. მთელი ღამის მანძილზე ცოხნიან თივას.

- 60 დღე** (უკანა მხარე IV 21-31) - [მეორე დ]ილას გამოიყვანს [თავლიდან]. შეკაზმავს. შემდეგ ჩორთით ატარებს ½ დანას]. როდესაც უკან დაბრუნდებიან, [განკაზმავს]. აჭმევს. სარზე [მიაზამს]. მშვირები და მწყურვალეები იქნებიან. როდესაც [მოსა]ლამოვდება, შეკაზმავს. ½ დანას და 20 იქუს ჩორთით ატარებს, 7 იქუს კი - აქროლებს. როდესაც უკან დაბრუნდებიან, განკაზმავს. აჭმევს, წყალს არ მისცემს. [თავლაში] შეიყვანს (სადაც) მთელი ღამის მანძილზე თივას ცოხნიან.
- 61 დღე** (უკანა მხარე IV 32-40) - მეორე დილით გამოიყვანს თავლიდან. შეკაზმავს. ½ დანას და 20 იქუს ჩორთით ატარებს, 7 მინდორზე კი აქროლებს. როგორც კი უკან მოიყვანს, განკაზმავს. დაბანს და 3-ჯერ აცურავებს. მისცემს 3 თას წყალს. შემდეგ შინ წარეკავს (და) შეიყვანს თავლაში. დაუდგამს 1 სათლ დაღერლილ ხორბალს. როდესაც დაასრულებენ, მთელი ღამის მანძილზე თივას ცოხნიან.
- 62-71 დღე** (უკანა მხარე IV 41-47) - შემდეგი 10 ღამის მანძილზე შეკაზმავს ხოლმე. ღამ-ღამობით ცოტას ჩორთით ატარებს, 7 იქუს კი - აქროლებს. როდესაც მე-5 ღამე დადგება, თბილი წყლით დაბანს, საკვებს მთელი დროის მანძილზე ჭამენ. როდესაც [10 ღამე] გაივლის, 4 დანას ჩორთით ატარებს.
- 72 დღე** (უკანა მხარე IV 48-57) - მე-11 დღეს როდესაც განკაზმავს, აჭმევს. წყალს დალევენ და თივას ჭამენ. შემდეგ შეჭამენ 2 ხელ შერეულ ქერს. როდესაც მოსალამოვდება, თავლიდან გამოიყვანს (და) შეკაზმავს. 1 დანას ჩორთით ატარებს, 7 იქუს კი - აქროლებს. როგორც კი [უკან მოიყვანს], განკაზმავს. აჭმევს (და) მისცემს [წყალს]. შეიყვანს თავლაში, (სადაც) მთელი ღამის მანძილზე თივას ჭამენ.
- 73 დღე** (უკანა მხარე IV 58-70) - როდესაც მეორე დილით თავლიდან გამოიყვანს, შეკაზმავს. ½ დანას ჩორთით ატარებს. როდესაც უკან მოიყვანს, [გან]კაზმავს. აჭმევს. [წყ]ალს დააღვინებს. შემდეგ [სარზე]ე მიაზამს. როდესაც შუადღე დადგება, ერთ ხელ თივას მისცემს. როდესაც საკვებს დაასრულებენ, საღამოს თავლიდან გამოიყვანს (და) შეკა[ზმავს]. შემდეგ 1 დანას და 20 იქუს ჩორთით ატარებს, 7 იქუს კი - აქროლებს. როდესაც უკან მოიყვანს, [გან]კაზმავს. აჭმევს. წყალს მისცემს. [შეიყვანს თავლაში], (სადაც) მთელი ღამის მანძილზე ჭამენ თივას [და] საკვებს.
- 74 დღე** (უკანა მხარე IV 71-75; მარცხენა მხარე 1-5) - როდესაც მეორე დილით თავლიდან [გამოი]ყვანს, შეკაზმავს. ½ დანას და 20 იქუს ჩორთით ატარებს, 10 იქუს კი - აქროლებს. როდესაც უკან დააბრუნებს, განკაზმავს. შემდეგ დაბანს და 5-ჯერ აცურავებს, წყალს მისცემს 3 თასს. შემდეგ როდესაც თავიდან გამოიყვანს, თივას არ მისცემს. როდესაც მეორედ გამოი[ყვანს], 1 ხელ თივას მისცემს, მესამე ჯერზე ისევ არაფერს არ მისცემს და მე-4 ჯერზე 1 ხელ თივას მისცემს. როდესაც 5-ჯერზე დაბრუნდებიან, თავლაში შეიყვანს. მაშინ (დიდხანს) მოძოვენ თივას. ასევე 1 ხელ დაღერლილ ხორბალს. შემდეგ ჭამენ მთელი ღამის მანძილზე.

II ფირფიტა:

- 75-77 დღე** (წინა მხარე I 1-2) - მეორე დილით [3 დღის მანძილზე] იდგებიან... და ჭამენ თავიანთ საკვებს.

- 78-81 დღე** (წინა მხარე I 3-11) - [შემ]დევ [4 დღის მანძილზე] ჩორთით ატარებს] 4 *დანას* [ჩორთით?] ჩორთით კი - ½ *დანას* და 20 *იქუს* ატარებს. ყოველ] დღე 7 *იქუს*ზე აქროლებს. შემდეგ განკაზმავ და ვაჭმევ³⁸. წყალს დალევენ და 2 ხელ შერეულ ქერს შეჭამენ. (ამის) შემდეგ 1 *დანას* ნელი³⁹ ჩორთით ატარებს, [7 *იქუს*] კი აქროლებს. როდესაც უკან დაბრუნდებიან, განკაზმავს. ვაჭმევ მათ. დალევენ წყალს. [შემდეგ] შეიყვანს თავლაში, (სადაც) ახალ ბალახს უხვად ცოხნიან მთელი ღამის მანძილზე.
- 82 დღე** (წინა მხარე I 12-20) - მეორე დილას შეკაზმავს. 2 ნელი ჩორთით ატარებს. როგორც კი განკაზმავს, აჭმევს. შემდეგ სარზე მიაბამს. როდესაც შუადღე დადგება, მისცემს 1 ხელ ახალ ბალახს. როდესაც მოსალამოვდება, განკაზმავს. შემდეგ ½ *დანას* და 20 *იქუს* ჩორთით ატარებს. შემდეგ 20 *იქუს* ერთ წრეზე⁴⁰ აქროლებს. როდესაც განკაზმავს, აჭმევს. წყალს არ მისცემს. შეიყვანს თავლაში, (სადაც) მთელი ღამის მანძილზე ახალ ბალახს ცოხნიან.
- 83 დღე** (წინა მხარე I 21-30) - მეორე დილით შეკაზმავს. ½ *დანას* და 20 *იქუს* ჩორთით ატარებს. შემდეგ 20 *იქუს* ერთ წრეზე აქროლებს. როდესაც განკაზმავს, დაბანს და 5-ჯერ აცურავებს. 1 ჯერზე არაფერს მისცემს. მეორე ჯერზე ერთ ხელ ახალ ბალახს მისცემს. 2-ჯერ თივას მისცემს, 3-ჯერ არაფერს არ მისცემს, წყალს კი 5-ჯერ თითო ხელს მისცემს. მე-5 ჯერზე კი წყალს კარგად მისცემს. როდესაც შინ მორეკავს, დაღერლილ შერეულ ფქვილს მისცემს. ისინიც მთელი ღამის მანძილზე ცოხნიან.
- 84-91 დღე** (წინა მხარე I 31-39) - 8 ღამის მანძილზე 5 *დანას* ჩორთით ატარებს. 8 ღამის მანძილზე აჭმევს და ღამ-ღამობით 7 *იქუს* აქროლებს.
- 88 დღე** (წინა მხარე I 33-34) - მე-5 ღამეს კი დაბანს თბილი (წყლით) და მდინარეში არ ჩაიყვანს. საკვებს კი ჭამენ.
- 92 დღე** (წინა მხარე I 34-39) - მე-9 დღეს სარზე მიაბამს. მერე მისცემს 2 ხელ შერეულ ქერს. სალამოობით შეკაზმავს. 1 *დანას* ჩორთით ატარებს, 7 *იქუს* კი აქროლებს. როდესაც განკაზმავს, აჭმევს. მთელი ღამის მანძილზე ცოხნიან ახალ ბალახს.
- 93 დღე** (წინა მხარე I 40-57) - მეორე დილით შეკაზმავს. 2 *დანას* ჩორთით ატარებს. როდესაც განკაზმავს, აჭმევს. შემდეგ სარზე მიაბამს. წყალს და საკვებს არ მისცემს. როდესაც შუადღე დადგება, ერთ ხელ თივას მისცემს. სალამოს შეკაზმავს. (ამის) შემდეგ ½ *დანას* და 20 *იქუს* ჩორთით ატარებს, ხოლო 38 *იქუს* კი - აქროლებს. ამას ეძახიან: *სინისელა აუცამევას*, რაც ასე ითარგმნება: აქ 20 *იქუს* აქროლებს, იქ კი - 7 *იქუს* აქროლებს. ამას ეძახიან - „ორმაგ წრეზე ქროლვას“. როდესაც განკაზმავს, 1 ღამეში 5-ჯერ აცურავებს. როდესაც აჭმევს, პირველად არ მისცემს თივას, მეორედ მისცემს 1 ხელ თივას, მესამეჯერ ისევ არაფერს არ მისცემს, მე-4 ჯერ ისევ მისცემენ 1 ხელ თივას. როდესაც მდინარიდან დაბრუნდებიან, მისცემს 1 სათლ შერეულ დაღერლილ ხორბალს და საკვებს.
- 94-101 დღე** (წინა მხარე I 57-62) - შემდეგ შეკაზმავს. 8 ღამის მანძილზე 6 *დანას* ჩორთით ატარებს. [5-ჯერ შეჭამენ].

³⁸ საინტერესოა, რომ ამ პარაგრაფში თხრობა გვხვდება პირველ პირში.

³⁹ zallati - ლიკიურად: ნელა, langzamer Gangart, Bryce Tr. B. (1986), 85.

⁴⁰ aika wartanna- wartanna = ტრიალი, ბრუნვა, წრე, შდრ. რუს. вертеть. აქ და შემდგომ რაც წრეზე ქროლვის ტერმინებია დასახელებული, მათ შესახებ დაწვრილებით: Starke, F., (1995).

- 98 დღე** (წინა მხარე I 59) - მე-5 ღამეს თბილი წყლით დაბანს. [როდესაც წყლიდან ამოვლენ], თავიანთ საკვებს შეჭამენ. 8 ღამის მანძილზე ჭამენ თავიანთ საკვებს. [წყალს ყოველ ჯერზე 1 ხელს მისცემს].
- 102 დღე** (წინა მხარე I 63-69) - მე-9 დღეს შეჭამენ 1 ხელ ახალ ბალახს (და) 2 ხელ შერეულ ქერს. შემდეგ სარზე მიაბამს. საღამოს შეკაზმავს. 2 დანას ნელი ჩორთით ატარებს. როდესაც განკაზმავს, აჭმევს და წყალს დააღვინებს. შემდეგ მთელი [ღამის] მანძილზე ახალ ბალახს უხვად ცოხნიან.
- 103 დღე** (წინა მხარე I 70- II 1-6) - (მეორე) დილით შეკაზმავს. შემდეგ 2 დანას ჩორთით ატარებს. როდესაც განკაზმავს, აჭმევს. სარზე მიაბამს. წყალს და საკვებს [არ] მისცემს. საღამოს შეკაზმავს. $\frac{1}{2}$ დანას და 20 იქუს ჩორთით ატარებს. (ამის) შემდეგ 8 იქუს აქროლებს. შემდეგ კი - 30 იქუს აქროლებს. *სინისელა აუცამევა* ასე ითარგმნება: აქ 8 იქუს აქროლებს, იქ 30 იქუს აქროლებს. ამას ეძახიან „ორმაგ წრეზე ქროლვას“. როდესაც განკაზმავს, 1 ღამის მანძილზე 5-ჯერ აცურავებს. დაბანის დროს 1 ჯერზე არ მისცემს თივას, [მე-2 ჯერზე] მისცემს [1 ხელ თივას], მესამეჯერ ისევ არაფერს მისცემს, მე-4 -ჯერზე კი ისევ ერთ ხელ თივას მისცემს. ყოველ ჯერზე ერთ ხელ წყალს მისცემს. 7 დანას ჩორთით ატარებს, შემდეგ 7 იქუს აქროლებს.
- 107 ღამე** (წინა მხარე II 7-8) - როდესაც განკაზმავს, მე-4 ღამეს თბილი წყლით დაბანს. შემდეგ თავლაში შეიყვანს, სადაც თავიანთ საკვებს შეჭამენ.
- 108-110 დღე** (წინა მხარე II 10-12) - შემდეგ 3 დღის მანძილზე 7 დანას ჩორთით ატარებს.
- 110 ღამე** (წინა მხარე II 12-20) - მე-7 ღამეს 2-ჯერ 7 დანას ჩორთით ატარებს. როგორც კი შეკაზმავს, ყოველ ჯერზე 7 იქუს აქროლებს. როგორც კი განკაზმავს, აჭმევს. შემდეგ ისინი დამატებით 1 ხელ თივას, 2 ხელ შერეულ ქერს შეჭამენ. ამას რომ დაასრულებენ, სარზე მიაბამს.
- 111 დღე** (წინა მხარე II 20-26) - საღამოს შეკაზმავს. შემდეგ 1 დანას ჩორთით ატარებს. როდესაც განკაზმავს, აჭმევს. წყურვილს რომ მოიკლავენ, შეიყვანენ თავლაში. იქ მთელი ღამის მანძილზე ახალ ბალახს ცოხნიან უხვად.
- 112 დღე** (წინა მხარე II 27-48) - როდესაც (შემდეგ) დილით შეკაზმავს, 2 დანას ჩორთით ატარებს, არ აქროლებს. შემდეგ განკაზმავს და აჭმევს შემდეგ კი სარზე მიაბამს. წყალს და საკვებს არ მისცემს. როდესაც შუადღე დადგება, მისცემს მხოლოდ 1 ხელ თივას. საღამოს შეკაზმავს, $\frac{1}{2}$ დანას და 20 იქუს ჩორთით ატარებს. შემდეგ $\frac{1}{2}$ დანას და 7 იქუს *თრიუტარტანა აუცამევა*, ანუ სამმაგ-წრეზე აქროლებს, რაც ასე ითარგმნება: $\frac{1}{2}$ დანას და 7 იქუს ქროლვა - ასე ამბობს (ქიქული). როდესაც განკაზმავს, მდინარეში 5-ჯერ აცურავებს. 1-ჯერზე არ მისცემს თივას, მე-2-ჯერზე მისცემს 1 ხელ თივას. მე-3 ჯერზე არაფერს არ მისცემს, მე-4 ჯერზე - ისევ 1 ხელ თივას მისცემს. ყოველ ჯერზე მისცემს ერთ ხელ წყალს. როგორც კი სახლში მორეკავს, მისცემს დამატებით 1 სათლ დაღერდილ ხორბალს და ისინი შეჭამენ.
- 113 დღე - 119 ღამე** (წინა მხარე II 49-57) - როდესაც გათენდება, იმის შემდეგ 7 ღამის მანძილზე 2-ჯერ 7 დანას ჩორთით ატარებს. 8 იქუს კი - აქროლებს. მე-5 ღამეს თბილი (წყლით) დაბანს. შეჭამენ (და) შეკაზმავს. შემდეგ 1 ღამეში 3 დანას ჩორთით ატარებს, 8 იქუს კი - აქროლებს. მე-4 ღამესაც 3 დანას ჩორთით ატარებს და 8 იქუს კი - აქროლებს.

- 120-122. დღე** (წინა მხარე II 58-65) - შემდეგი 3 ღამის მანძილზე ისევ შეკაზმავს. პირველ ღამეს 7 დანას აქროლებს, მეორე ღამეს - 3 დანას ჩორთით ატარებს, 8 იქუს კი - აქროლებს. მე-3 ღამეს 3 დანას ჩორთით ატარებს, 8 იქუს კი - აქროლებს. როდესაც განკაზმავს, საკვებს აჭმევს. შეჭამენ 3 ხელ ქერს და საკვებს, შემდეგ კი სარზე მიაბამს.
- 123 დღე** (წინა მხარე II 65-69) - საღამოს შეკაზმავს. შემდეგ 1 დანას ჩორთით ატარებს. როგორც კი განკაზმავს, წყურვილს მოიკლავს. შემდეგ შეიყვანს თავლაში (და) შემდეგ მთელი ღამის მანძილზე თივას ცოხნიან.
- 124 დღე** (წინა მხარე II 70 - უკანა მხარე III 10) - (მეორე) დილით შეკაზმავს. 3 დანას ჩორთით ატარებს, 8 იქუს კი - აქროლებს. შემდეგ განკაზმავს, აჭმევს, წყალს და საკვებს მისცემს. როდესაც შუადღე დადგება, თივას აჭმევს. სანამ არ მოსალამოვდება, წყალს სვამენ. შემდეგ სარზე მიაბამს. საღამოს შეკაზმავს. 1 დანას ჩორთით ატარებს. როდესაც განკაზმავს, წყალს არ მისცემს, თავლაში შეიყვანს (და) მთელი ღამის მანძილზე ახალ ბალახს ცოხნიან.
- 125 დღე** (უკანა მხარე III 11-28) - (მეორე) დილით ისევ შეკაზმავს და 2 დანას ჩორთით ატარებს. როდესაც განკაზმავს, აჭმევს (და) სარზე მიაბამს. წყალს და საკვებს არ მისცემს. როდესაც შუადღე დადგება, 1 ხელ ახალ ბალახს შეჭამენ. საღამოს შეკაზმავს. 1/2 დანას და 20 იქუს ჩორთით ატარებს. შემდეგ ტრიუარტანა (3-მმაგ-წრეზე) 1/2 დანას აქროლებს. როგორც კი განკაზმავს, 5-ჯერ მდინარეში აცურავებს. პირველ ჯერზე არ მისცემს თივას, მე-2-ჯერზე მისცემს 1 ხელ თივას, მე-3-ჯერზე - ისევ არაფერს, მე-4-ჯერზე - ისევ 1 ხელ თივას. ყოველ ჯერზე 1 ხელ წყალს მისცემს. მდინარიდან რომ ამოვლენ, თავლაში წაიყვანს. დამატებით 1 სათლ შერეულ დაღერლილ ხორბალს მისცემს და ისინიც შეჭამენ.
- 126 დღე** (უკანა მხარე III 29-33) - როდესაც გათენდება, შემდეგი 5 ღამის მანძილზე ჩორთით ატარებს. 1 ღამეს 3 დანას ჩორთით ატარებს, 10 იქუს კი - აქროლებს; მე-2, მე-3 და მე-4 ღამეს ასევე ჩორთით ატარებს და 10 იქუს კი - აქროლებს. მე-5 ღამეს თბილი წყლით აბანავებს და შეკაზმავს.
- 131 დღე** (უკანა მხარე III 34-35) - შემდგომ, 1 ღამე 7 დანას ჩორთით ატარებს და 10 იქუს კი - აქროლებს.
- 132 დღე** (უკანა მხარე III 35) - მე-2 ღამეს 3 დანას ჩორთით ატარებს, 10 იქუს კი - აქროლებს.
- 133 დღე** (უკანა მხარე III 36-41) - მე-3 ღამეს ისევ 7 დანას ჩორთით ატარებს, 10 იქუს კი - აქროლებს. შემდეგ განკაზმავს, მისცემს წყალს, 1 ხელ თივას და 2 ხელ შერეულ ქერს და ისინი შეჭამენ. როდესაც საკვებს დაასრულებენ, საღამოობით შეკაზმავს ხოლმე.
- 134 დღე** (უკანა მხარე III 42-46) - 1 დანას ჩორთით ატარებს. როგორც კი განკაზმავს, აჭმევს. წყალს მისცემს. შემდეგ შეიყვანს თავლაში, (სადაც) მთელი ღამის მანძილზე ჭამენ ახალ ბალახს.
- 135 დღე** (უკანა მხარე III 47-64) - როდესაც (შემდეგ) დილით შეკაზმავს, 2 დანას ჩორთით ატარებს. როდესაც განკაზმავს, აჭმევს (და) სარზე მიაბამს. როდესაც შუადღე დადგება, 1 ხელ ქერს მისცემს. საღამოობით კი შეკაზმავს. 67 იქუს ჩორთით ატარებს (ანუ) „4 წრეს“. როგორც კი განკაზმავს, 5-ჯერ მდინარეში აცურავებს. 1 ჯერზე არაფერს მისცემს. მე-2 ჯერზე, შემდეგ 1 ხელ ქერს მისცემს. მე-3 ჯერზე არაფერს მისცემს. მე-4 ჯერზე ისევ 1 ხელ

- ქერს მისცემს. 1 პეშე წყალს მისცემს ყოველ ჯერზე. მე-5 ჯერზე სახლში წარეკავს და თავლაში შეიყვანს. იქ შეჭამენ 1 სათლ შერეულ დაღერდილ ხორბალს და თავიანთ საკვებს.
- 136-141 დღე** (უკანა მხარე III 65-73 - IV 1) - შემდეგი 6 ღამის მანძილზე თავლაში იდგებიან. საკვებს შეჭამენ. ღამ-ღამობით შეკაზმავს. 1 ღამეს 2 *დანას* და $\frac{1}{2}$ *დანას* ჩორთით ატარებს, 7 *იქუს* კი - აქროლებს. უკან რომ მორეკავს, შემდეგ 10 *იქუს* აქროლებს. მე-4 ღამესაც ასევე მოიქცევა. მე-5 ღამეს თბილი წყლით დაბანს. შემდეგ თავლაში შეიყვანს, (სადაც) საკვებს შეჭამენ. როდესაც დაღამდება, შეკაზმავს. 6 *დანას* ჩორთით ატარებს, 7 *იქუს* კი - აქროლებს. უკან რომ მორეკავს, 10 *იქუს* აქროლებს. შემდგომ განკაზმავს, აჭმევს და ასმევს წყალს (და) თავლაში შერე[კავს, (სადაც) თივას შეჭამენ].
- 142 დღე** (უკანა მხარე IV 2-11) - [როდესაც გათენდება, 2 [*დანას*] და $\frac{1}{2}$ *დანას* ჩორთით ატარებს, 7 *იქუს* კი - [აქროლებს]. უკან რომ მორეკავს, 10 *იქუს* აქროლებს. შემდეგ [3 *დანას* უკან დააბრუნებს (და) განკაზმავს, აჭმევს. შემდგომ წყალს დალევენ (და) თავლაში შეიყვანს. [მისცემს] შერეულ 1 ხელ თივას, და 1 ხელ ქატოს და 3 ხელ ქერს (და) ისინი შეჭამენ. [საღამოობით შეკაზმავს]. 1 *დანას* აქროლებს. [როდესაც] განკაზმავს, შეიყვანს თავლაში, (სადაც) შემდეგ შეჭამენ თივას და 1 ხელ ქატოს მთელი ღამის მანძილზე.
- 143 დღე** (უკანა მხარე IV 12-15) - შემდგომ, 1 ღამეს შეკაზმავს. 2 *დანას* და $\frac{1}{2}$ *დანას* ჩორთით ატარებს. 7 *იქუს* კი - აქროლებს. უკან რომ მორეკავს, 10 *იქუს* აქროლებს. შემდეგ განკაზმავს, აჭმევს (და) შემდეგ თავლაში შეიყვანს.
- 144 დღე** (უკანა მხარე IV 16-23) - როდესაც შუადღე დადგება, მისცემს ახალ ბალახს. როდესაც დღე გადავა, წყალს მისცემს. საღამოს არაფერს არ მისცემს. შემდეგ თავლაში შეიყვანს (სადაც) მთელი ღამის მანძილზე ახალ ბალახს ცოხნიან.
- 145 დღე** (უკანა მხარე IV 24-41) - მეორე დილით შეკაზმავს. 2 *დანას* ჩორთით ატარებს. როდესაც განკაზმავს, აჭმევს. წყალს არ მისცემს. შემდეგ სარზე მიაბამს. როდესაც შუადღე დადგება, მისცემს 1 ხელ თივას. საღამოს შეკაზმავს. $\frac{1}{2}$ *დანას* და 20 *იქუს* ჩორთით ატარებს. შემდეგ $\frac{1}{2}$ *დანას* და 20 *იქუს* უკან აქროლებს: „5 წრეს“. როდესაც განკაზმავს, შეიყვანს თავლაში. როდესაც დამშვიდდებიან, 5-ჯერ დაბანს, შემდეგ აცურავებს. 1 ჯერზე არაფერს მისცემს, მე-2 ჯერზე 1 ხელ თივას მისცემს, მე-3 ჯერზე ისევ არაფერს მისცემს, მე-4 ჯერზე 1 ხელ თივას მისცემს. 1 ხელ წყალს მისცემს ყოველ ჯერზე. როდესაც მე-5 ჯერზე სახლში მოიყვანს, შეიყვანს თავლაში, (სადაც) 1 სათლ შერეულ დაღერდილ ხორბალს მისცემს და ისინიც შეჭამენ.
- 146-150 დღე** (უკანა მხარე IV 42-45) - 5 დღის მანძილზე ჭამენ. ყოველდღიურად შეკაზმავს ხოლმე. შემდეგ 1 დღეს 2 *დანას* და $\frac{1}{2}$ *დანას* ჩორთით ატარებს, 7 *იქუს* კი აქროლებს. როდესაც უკან მოიყვანს, 10 *იქუს* კი - აქროლებს.
